ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის პრველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 5 144,9 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა პირველ კვარტალში მიიღო 3 438,6 ათასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 66,8 %-ით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტმა 5 034,2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო, (2025 წლის იანვარ-მარტში მიღებული გვქონდა 8 472,8 ათასი ლარი.) რაც გამოწვეულია გადასახადებიდან და გრანტებიდან მიღებული შემოსავლების კლებით.

1. გადასახადებში მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 2 951.1 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 1 208.9 ათასი ლარი, 41%. გასულ წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს გადასახადებიდან 4 614,7 ათასი ლარი ქონდა მიღებული. მათ შორის:

ქონების გადასახადი პირველ კვარტალში დაგეგმილი არ ყოფილა, რადგან დაზუსტებული იქნა წლის დასაწყისში საქართველოს რკინიგზისა და სხვა გადამხდელების მიერ უკან წაღებული 1 573,9 ათასი ლარის გადასახადის გამო. პირველ კვარტალში შპს საქართველოს რკინგზის მიერ უკან არის წაღებული 1 356,2 ათასი ლარი, ხოლო უცხოური კოპანიების - შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფისა და ჩინეთის გზების და ხიდების კორპორაციის მიერ 241, 2 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ გასული წლის პირველ კვარტალში 2 086,5 ათასი ლარი გვქონდა მიღებული.

დამატებული ღირებულების გადასახადი შემოსულია 2 782,8 ათასი დაგეგმილის 94,3 %-ი,

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტები პირველ კვარტალში 800,6 ათასი ლარი დაგეგმილი 1841,6 ათასი ლარის ნაცვლად. გასული წლის პირველ კვარტალში 3 517,8 ათასი ლარი იყო მიღებული. გრანტების გეგმა განსაზღვრულია აღებული ვალდებულებების მიხედვით, ხოლო ფაქტი გაწეული ხარჯების მიხედვით (მიღება-ჩაბარებების გათვალისწინებით)

მათ შორის:

მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 436,3 ათასი ლარი. აქედან, მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე 343,8 ათასი ლარი, საზჯანდაცვასა და არასრულწლოვანთა დახმარებაზე 67,0 ათასი ლარი და სკოლების რეაბილიტაციაზე 25,5 ათასი ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 364,4ათასი ლარი, ხოლო გეგმა 1 370,3 ათასი ლარით გვქონდა განსაზღვრული.

3. სხვა შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 349,7 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 1 429,1 ათასი ლარი, 408, 7% წინა წელთან შედარებით 1 088,8 ათასი ლარით მეტი, მნიშვნელოვნად გაიზარდა კომერციული ბანკიდან მიღებული პროცენტების თანხა და შეადგინა 186,1 ათასი ლარი,; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი მიღებულია 17,9 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 4,6 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი 0,7 ათასი ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი 12,8 ათასი ლარი. ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან პირველ კვარტალში შემოსულია 1 184,2 ათასი ლარი.

4. **არაფინანსური აქტივების კლებიდან** დაგეგმილი 2,5 ათასი ლარიდან პირველ კვარტალში შემოსულობები არ მიგვიღია.

5. **2026 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების** 4 141,1 ათასი ლარის ნაშთიდან მიმდინარე წლის გადასახდელების დასაფარად უკვე გამოყენებულია 3 212,8 ათასსი ლარი, მათ შორის პირველი კვარტლის ხარჯების დასაფარავად მიმართულია 3 103,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გამოყენებულია 2 544,4 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი გადასახდელების 9 190,9 ათასი ლარიდან ფაქტიურად დაფინანსებულია 6 235,1 ათასი ლარის ხარჯი, 67,8%. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2 506,4 ათასი ლარით ნაკლები, 2025 წლის პირველ კვარტალში გაწეული იყო 8 741,5 ათასი ლარის ხარჯი, სხვაობა ძირიდად გამოწვეულია იმით რომ, გასულ წლის პირველ კვარტალში დაფინანსდა წინა 2024 წლიდან გადმოყოლილი გზების რეაბილიტაციის წინსწრები პროექტები, რომელთა დაფინანსების თანხა გადმოვიდა ახალ 2025 წელში. ხოლო უშუალოდ 2025 წლის წინმსწრები პროექტების დაფინანსება შესაძლებელი გახდა ისევ 2025 წლის ბოლო რიცხვებში.

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსებულია 75,1%-ით. მ.შ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახ ხარჯებზე გაწეულია 360,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,5%; მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაფინანსებულია 958,8 ათასი ლარი 73,6%;

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავ შირებული ხარჯებიდან ათვისებულია 1,3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით გამოყოფილია 27. 7 ათასი ლარი, მათ შორის: 20,3 ათასი ლარი მიმართულია სოციალური დაცვაზე, აქედან:

6,3 ათასი ლარი სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარებაზე;

-9,0 ათასი ლარი ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე, აქედან 3,0 ათასი ლარი მოხმარდა სტიქიისაგან დაზარალებულ სოფელ ხემაღალში მცხოვრები მოქალაქეების დახმარებას. 5,0 ათასი ლარი გამოიყო ШШმ ბავშვის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასამგზავრებლად; ხოლო 1,0 ათასი ლარი გამოიყო სათნოების სახლის ბენეფიციარი პირის დაკრძალვის ხარჯებისათვის.

- 5,0 ათასი ლარი სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფაზე.
- 7,4 ათასი ლარი მიიმართა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პატრიარქის დაკრძალვაზე დასაწრებად, მისთვის პატივის მიგების მიზნით სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად.

2. ინფრასტრუქტურის განვითრებაზე 2026 წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით გეგმით გათვალისწინებული 2 302,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 785,8 ათასი ლარი, 34,1 %-ი. აქედან: **გზების კაპიტალურ შეკეთებაზე** მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 1 771,8 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 512,0 ათასი ლარი, აქედან 401,0 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 111,0 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. მ. შ. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31/12 N 1955 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესასრულებელ სამუშაოებზე დახარჯულია 15,2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სოფლების უბისა, საბის, ქროლისა და წიფის საუბნო გზების რეაბილიტაციაზე.

საქ.მთავრობის 2025 წლის 30/07 N1207 განკარგულებით 22,2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა სოფელ მარელისის გზის მობეტონებასა და პროექტების შეძენას.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16.01.N102 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 363,6 ათასი ლარით მოხდა სოფელ უბისის, ქროლის, ბაზალეთის ა/ერთეულში სოფელ წიფის საუბნო გზების რეაბილიტაცია.

გზების მიმდინარე შეკეთებაზე დახარჯულია 3,3 ათასი ლარი.

ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 68,6 ათასი ლარიდან გაწეულია 47,5 ათასი ლარი, აქედან საქ. მთავრობის N 1207 განკარგულებით სოფელ ხიდარში მოეწყო ხიდის მოაჯირი. მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით 43, ათასი ლარი მოხმარდა სოფელ ისლარსა და სოფელ უბისაში ხიდების მშენებლობას.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი 78,5 ათასი ლარიდან ფაქტიურად ათვისებულია 43,5 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული მიკროავტობუსები რეისები სხვადასხვა მიმართულებებით, ასევე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის დაკრძალვის ცერემონიალზე დასასწრებად ტრანსპორტირების ხარჯების ასანაზღაურებლად 10,4 ათასი ლარი.

წყლის სისტემის განვითარებაზე დაგეგმილი 43,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 6,3 ათასი ლარი. მათ შორის უშუალოდ სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად გაწეულია 5,5 ათასი ლარი, ხოლო სანიაღვრე არხების მოწყობაზე 0,9 ათასი ლარი,

გარე განათების პროგრამას მოხმარდა 131,5 ათასი ლარი აქედან სუბსიდირებაზე დაგეგმილი 160,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 96,5 ათასი ლარი, ხოლო გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე 35,0 ათასი ლარი სოფ ვარძიაში სასოფლო გზაზე გარე განათების მოსაწყობად სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში.

კეთილმოწყობაზე დაგეგმილი 120,3 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია 30,5 ათასი ლარი, პატარა ხარაგაულში არსებული სკვერის რეაბილიტაციაზე ასევე სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დახარჯულია 4,9 ათასი ლარი ელექტროგამანაწილებელ და ბუნებრივი აირის ქსელზე მიერთების თანხა.

დასუფთავება და გარემოს დაცვაზე პირველ კვარტალში დაგეგმილი 1 049,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 749,3 ათ. ლარი, 71,4 %. მ. შ დასუფთავებისა და ნარჩენების გატანაზე 952,6 ათასი ლარიდან 669,6 ათასი ლარი; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 192,3 ათასი ლარიდან 79,7 ათასი ლარი; მიუსაფარი ცხოველების მოვლითი ღონისძიებები პირველ კვარტალში არ დაფინანსებულა.

3. განათლებაზე 2026 პირველ კვარტალში დაგეგმილი 2 002,1ათასი ლარიდან დახარჯულია 1 623,7 ათასი ლარი და დაფინანსებულია 81,1%. მ.შ.სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე 1 025,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 926,7 ათასი ლარი; მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურეობაზე 364,9 ათ. ლარი; საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე 210,6 ათასი ლარი.

ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე (ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურება) გაწეულია 47,7 ათასი ლარის ხარჯი. სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობაზე (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი) 82,6 ათასი ათასი ლარიდან 73,9 ათასი ლარი.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტზე დაგეგმილი 1 090,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 885,7 ათასი ლარი, დაფინანსებულია 81,2 %-ით მ. შ. სპორტის განვითარებას მოხმარდა 322,6 ათასი ლარი, აქედან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 0,4 ათასი ლარი; სპორტის ხელშეწყობაზე 181,2 ათასი ლარი; სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვაზე 140,9 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრები მოხმარდა ბორითში, ნადაბურში, კიცხში, ვახანის, მოლითის და საღანძილის ა/ერთეულში სპორტული სივრცის მოწყობას, ასევე გადახდილია სოფ. ზვარეში მინი სტადიონის ობიექტზე ელექტროგამანაწილებელ ქსელზე მიერთების თანხა.

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 530,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 508,8 ათასი ლარი, 95,9 %-ით. აქედან: სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 75,2 ათასი ლარი;

კულტურის, ხელოვნების და ტურიზმის ხელშეწყობაზე 423,8 ათასი ლარი; ფოლკლორის ხელშეწყობის დაფინანსებაზე 8,4 ათასი ლარი; კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე 1,4 ათასი ლარი; მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების პროგრამაზე 24,4 ათასი ლარი; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გადარიცხულია 30,0 ათასი ლარი; ახალგაზრდული მხარდაჭერი პროგრამა პირველ კვარტალში არ დაფინანსებულა.

6. ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე პირველ კვარტალში დაგეგმილი 987,6 ათასი ლარიდან დაიხარჯა 869,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 88,1 % - ით. აქედან:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 84,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 78,6 ათასი ლარი, მ. შ. 46,9 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 31,8 ათასი ლარიმუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.

სოციალური დაცვის პროგრამებით 2026 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი 903,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 791,3 ათასი ლარი, 87,6 %. აქედან:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების ქვეპროგრამით ისარგებლა 276 ბენეფიციარმა და დაგეგმილი 156,3 ათასი ლარიდან ანგარიშსწორება მოხდენილია 153,2 ათას ლარზე. აქედან 6,3 ათასი ლარი მიიმართა სარეზერვო ფონდიდან. გეგმა შესრულებულია 98,0 %-ით.

შშმ პირთა დახმარების ქვეპროგრამის პირველი კვარტლის განისაზღვრა 23,0 ათასი ლარით, დაიხარჯა 18,5 ათასი ლარი - 80,4%, ქვეპროგრამით ისარგებლა 71 ბენეფიციარმა.

ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით დაგეგმილი 279,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 277,5 ათასი ლარი - 99,5 %. დაკმაყოფილდა 925 განცხადება. სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 9,0 ათასი ლარი, აქედან 3,0 ათასი ლარი მოხმარდა სტიქიისაგან დაზარალებულ სოფელ ხემაღალში მცხოვრები მოქალაქეების დახმარებას. 5,0 ათასი ლარი გამოიყო შშმ ბავშვის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასამგზავრებლად; ხოლო 1,0 ათასი ლარი გამოიყო სათნოების სახლის ბენეფიციარი პირის დაკრძალვის ხარჯებისათვის.

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ გეგმა განისაზღვრა 18,0 ათასი ლარით, დაიხარჯა 9,7 ათასი ლარი პროგრამაში ჩართულია 14 პირი.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 25,0 ათასი ლარით, დახარჯულია 20,5 ათასი ლარი - 82,0 %. დაკმაყოფილდა 49 განცხადება.

მარტოხელა მშობლების დახმარების გეგმა განისაზღვრა 6,0 ათასი ლარით, დახარჯულია 5,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 86,3%-ით. ყოველთვიურად მოსარგებლეა 25 მარტოხელა მშობელი.

მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამაზე პირველ კვარტალში დაიგეგმა 15.0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 12,0 ათასი ლარი. გეგმით გათვალიწინებული თანხა ათვისებულია 79,7%-ით. დაკმაყოფილდა 42 განცხადება.

ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო 21,0 ათ. ლარი. ათვისებული იქნა 19,6 ათასი ლარი. ქვეპროგრამით მოსარგებლეა 94 ბენეფიციარი.

ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში განვლილ პერიოდში ხარჯი არ გაწეულა.

ხანდაზმულთა დახმარების ქვეპროგრამა - გეგმა 2,0 ლარი, ფაქტიურად დახარჯულია 2,0 ათასი ლარი. მოსარგებლეა მხოლოდ ერთი პირი.

სადღესასწაულო დღეების დახმარების გეგმა იყო 6,0 ათასი ლარი, დახარჯულია 4,6 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის დახმარება გაიცა 5 პირზე.

სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება გეგმა 5,0 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი - 1,8 ათ. ლარი. დაკმაყოფილდა 7 განცხადება.

უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარების გეგმა განისაზღვრა 20,0 ათასი ლარით. დახარჯულია 7,1 ათასი ლარი, ისარგებლა 18 ოჯახმა.

ახალშობილთა ოჯახების დახმარების გეგმა განისაზღვრა 8,0 ათ. ლარით. დახარჯულია 4,9 ათ. ლარი. შესრულება - 60,6 %. ისარგებლა 20 ახალშობილის ოჯახმა.

გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვაზე ხარჯი არ გაწეულ;ა.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ქვეპროგრამით დაგეგმილი 170,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 136,9 ათასი ლარი. აქედან 97,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და 39,9 ათასი ლარი მუნიციპალიტტეის საკუთარი სახსრებით. პირველ კვარტალში დახმარება გაიცა 55 მოქალაქეზე. აქედან, 24 ოჯახს ფულადი ფორმით გაეწია 115,9 ათასი ლარის დახმარება. უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფილია 31 მოქალაქე. სარეზერვო ფონდიდან ქვეპროგრამაზე მიმართულია 5.0 ათასი ლარი.

უფასო სასადილოს მომსახურებით ისარგებლა 191 ბენეფიციარმა და დაგეგმილი 89,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 78,2 ათასი ლარი, 87,3 %.

სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა პირველ კვარტალში დაგეგმილი 7,5 ათასი ლარიდან ხარჯები არ გაწეულა.

გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამით დაგეგმილი 12,0 ათასი ლარი სრულად იქნა ათვისებული. ქვეპროგრამის ფარგლებში განხილულია 14 საქმე.

ომისა და სამხედრო ძალთა ვეტერანთა დახმარების ქვეპროგრამით გეგმა განისაზღვრა 8,0 ათ. ლარით. დაკმაყოფილდა 31 განცხადება და დაიხარჯა 8,0 ათ. ლარი სრულად.

არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 29,3 ათასი ლარით, დახარჯულია 19,8 ათასი ლარი, მათ შორის 4,8 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერის და 15,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.. ისარგებლა 14 ოჯახმა.

პერსონალური ასისტენტის მომსახურების ქვეპროგრამით დაგეგმილი 1,3 ათასი ლარი არ გაწეულა.

მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებს და სსიპ-ებს პირველ კვარტალში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 2 764,1 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად არის გამოყენებული. აღნიშნული ხარჯებიდან სულ შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 2 328,9 ათასი ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 31,8 ათასი ლარი; 5,4 ათასი ლარი მივლინებაზე; 144,1 ათასი ლარი საოფისე ხარჯების გაწევაზე, 74,7 ათასი ლარი კვების ხარჯებზე; 0,3 ათასი ლარი სამედიცინო ხარჯებზე; 36,4 ათასი ლარი მიმართულია სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე; 137,5 ათასი ლარი სხვადასხვა სახელშეკრულებო მომსახურების შესყიდვაზე; 1,7 ათასი ლარი დაიხარჯა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე და 3,2 ათსი ლარი სხვა ხარჯების ანაზღაურებაზე. 2026 წლის პირველი იანვრისათვის ა(ა)იპ-ებს ჯამში ერიცხებოდათ 28,4 ათასი ლარის საკუთარი შემოსავალის ნაშთი, პირველ კვარტალში საკუთარი შემოსავალი მიღებული აქვთ

მხოლოდ 2,0 ათასი ლარი; დახარჯული აქვს 5,6 ათასი ლარი და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის ნაშთებში დარჩათ 24,8 ათასი ლარის საკუთარი შემოსავალი.

სულ 2026 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული 6 235,1 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულია 1 047,6 ათასი ლარი და ყველა დანარჩენ ხარჯებზე 5 187,5 ათასი ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე 839,3 ათასი ლარი; შტატგარეშე მომუშავეების ანაზღაურებაზე 274,7 ათასი ლარი; მივლინებებზე 2,4 ათასი ლარი; საოფისე ხარჯებზე 39,1 ათასი ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 1,7 ათასი ლარი; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 439,1 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტისათვის სხვადასხვა სახის მომსახურეობის გაწევაზე 28,4 ათასი ლარი; სახის სუბსიდირებაზე 2 707,7 ათასი ლარი; საგრანტო მომსახურეობაზე 56,5 ათასი ლარი; სოციალურ უზრუნველყოფაზე 600,0 ათასი ლარი; სხვა ხარჯების, მათ შორის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე 198,5 ათასი ლარი;